

კვირა, 26 თებერვალი 1917 წ.

სოდარციის აღრიცი:
თფილის, ოლდას ქუჩა, № 6.

— ფარ 15 პატ. —

გვირგვინი


№ 9

1917

შ 0 6 6 1 6 6 0. აარა ფელეტონი—მორიელი.
სიზმარი—ეჭაკი. პატიოსანი სიტყვა—ძ. მამა და შეიძლი—
კ ბალაგაძე. სიძირის თაიგული—თარაში. ვერტრედი—
ლუკაიეს ობოლი. დაგვიანებული მილოცვა—გოგია. მო-

კითხვის წერილი—ბუტუნა. მოხსბნება—ლა პუპე და ნათ-
ლული. წერილი რედაქციას.
კ ბ რ ი კ ა ტ უ რ ი ბ ი: „გვირგვინისნები“ ბარომეტრი.

„გვირგვინისნები“



„გვირგვინისნები“ + ყვითელმა მწერლობამ შეპბოქა მუზა შეუფერებელი არტახ-
ბით. ჩვენ უნდა გავანთავისუფლოთ იგი... (იხ. მე-16-ტე გვერდი).

პატარა ფელეტონი.

„სხენის ქალა“

ქართველი ხალხის კულტურული განვითარება რომ მდევრის ნაბიჯით წინ მიღის, ამას მხოლოდ ბრძანებულ შენიშვნას.

ამ მხრიც განსაკუთრებული კვალი ჩვენს ცხოვრებაში ქარა „ელ „ბურუუათა“ ორგანომ „საქართველომ“ (ა რეთვე ქუთათურმა ფუტურისტებმა) შეიტანა.

განვითარებით „საქართველო“ სულ რაღაცა მესამე წელიწადია რაც ასებობს და ამ მოკლე ლროს განმავლობაში უკვე რამოდენიმე მელნის ქარხანა დაარსა. მაგრამ მარტო ამითაც არ განიზომება მისი კულტურული ეროვნული მოღვაწეობა. „საქართველომ“ განასპერაკა ქართული ეროვნული ენა, სხვადა სხვა ფუტურისტული ტერმინების შემოღებით და ამ ზოლო ლროს წარმოების თვალსაზრისით აშუქებს ყველივე ეროვნულ პოლიტიკურ საკითხს.

21 თებერვლის ნომერში განვითარების ბურჯი ბ-ნი ე. მალუ ეხება 19 თებერვლის კრებას, ახალი კლუბის დარბაზში მომზადარს, და ამბობს:

„განა ერებაზე ელადას, ან დასიშვილის თავუმჯდომარებას ისეთი ერთგნული მნიშვნელობის საკითხია, რომ ამისთვის ათასი ქარის დაშესრი შეიყაროს და მოელო დღის განმავლობაში ამათი ძალა, ენერგია და დორ ისარჯოს? რამდენა შრომა უნდა გაწიათ კრებამდისაც ის სკმის მისცემადა! „შეგნებულ ამხანაგების“ ეს ენერგია, ყორალო ჰირუტუების ძალად რომ ვანგარიშოთ მიაღიდებდით სამას, თოხას ცხენის ძალას...“

მართლაც დახარჯული ენერგიის საზომათ მეცნიერებს კარგა ხანია შემოღებული აქვთ საზომი ერთეული „ცხენის ძალა“: მაგრამ დღემდე არავის მოსვლია აზრით ამ მეცნიერული ტერმინით ეხელმდებარება კრებებისა და სხვა საჯარო გამოსვლათა დროს. ვისოფისა საეჭვო, რომ ჩვენ, ქართველები სრულიად არ ვაფასებდით დროს და ინგლისურ ანდაზას —, დრო ფულიათ“, ჩვენში გასავალი არასოდეს არა ჰქონია. მას შემდეგ კი, რაც განვითარებით „საქართველო“ გამოვიზა, და ჩვენშიაც საკუთარი ეროვნული წარმოება აყვავდა, დროსაც

მეტი ფასი დაედო. დრო და ენერგია ახლა პირდაპირ „ცხენის ძალით“ იანგარიშება, რასაც უკევლია მიაქცევდა ყურადღებას უველა, ვინც ახლო უდგას ჩვენს ეროვნულ ბურუუაზიულ ორგანოს — განვითარების საქართველოს“.

— რას აფასებთ, ბატონებო, ს. კელიას მეთაურ წერილს „საქართველოს“ ვნ-ტე ნომერში? ეკითხება ხაზინადარი სარედაქციო კრებას.

— ჰკითხეთ ავტორს, — მიუვებს რედაქტორი — თითონ ეცოდინება რამდენი, „ცხენის ძალა“ ზედ დარჯული.

— ბევრი არაფერი, სულ შეიძი — თუ რა „ცხენის ძალა“ დასტირდა, მეყობარო.

— ჩემი სამხედრო მომიხილვა სრულად არ გაგისტუმრებით — წარმოსთქვა ცნობილმა სტრატეგმა X — მა — დარჩენილია კიდევ რაღაც ექვსიოდ „ცხენის ძალისა“.

— ჩემი ლექსი ათი ცხენის ძალისაა! ამ რითმებზე აუარება ენერგია და ძალა იხარჯება — ბრძან თვით რედაქტორმა, სანდრო შანდაშა შეიღომა.

— თუ ცოტა არ უკელით, რედაქციის თანხა ვერ აიტანს, ბ-ნებო, ასეთ ხარჯებს, შენი შაზინადარმა.

— ჩემი საპოლემიკურ წერილებიდან დარჩენილია 13 ცხენის ძალისა. — წარმოსთქვა ჩვენმა რეზოგაბაზეილია.

— ცამეტი ცუდი რიცხვია, ერთი დაუკელი

— რატომ უნდა დაუკლო, თუ 13 არ მოგწონთ მაშინ მიუმატეთ ერთი „ცხენის ძალა“ და 14 გამოვა.

— ბ-ნი! მე სახუმროდ არა მცალია, — მრისხანეთ წარმოსთქვა ხაზინადარმა — თუ რამდენისძიებას არ მიიღებთ ისე ასებობა შეუძლებელია. ვერავითარი ბურუუაზია ვერ გაუძლებს ასე ხარჯებს. იმ მოისმინეთ: დღეს დღეობით გასასტურებელია:

1) ბ-ნი ლელიანის წერილები 25, „ცხენის ძალისა“

2) — „ ა. ასათიანის სტატია 3 „ .

3) — „ გ. გვაზავას მეცნიერული გამოკლევა 5 (ცხენის ძალისა).

4) — „ გრ. ვეშაპელის მოხსენებანი ცხენის ძალისა.

5) — „ დათიკო ქასრაძის „თეთრი ზამპანი“ 60 ცხენის ძალისა.

6) — „ გ უორდანის წერილი 2 ”

7) — „ შ. ქარუმიძის ნაწარ. 2± ”

8) — „ გ. ქიქოძის გამოკვ. 87 ”

9) — „ აპ. წულაძის კორესპ. 1 ”

10) — და სხვა-და-სხვა შემთხვევითი ავტორების ნაწარმოებინი 112 ცხენის ძალისა.—თუ მათ საერთო ჯამს გავუკეთებთ მიეიღოთ სერიოზულ რიცხვს 331 ცხენის ძალას. მე ვერა ვპელავ, ბ-ნები, მიეწერო პატივუმულ აკაკი ხოშტარიას, რომ რედაქტერის ამდენი ვალი აწევს, ვინაზარ საამისო ჯერ არაფერი გაგვიკეთება.

— უბრალო შიში! მე თითონ წავალ ბაქო ეთში და პირადათ ვინახულებ აკაკის. თქვენ ლონდ ერთი კარგი ჩამოდანი მიშოვნეთ და ჩემს შემოსავალს ლაპტერეთ მეზავრობაში დანახარჯი ენრგია 48 ცხენის ძალისა აღტაცებით წარისონება ენრგიით სავსე სპ. კედიამ.

ასეთი გარკვეული ტერმინებით ლაპარაკობენ

„საქართველოს“ პატივუმულ რედაქტური, სადაც ყველაფერი უკვე ევროპიულ ყაიდაზე მოეწყო. მე რამდენათაც ვიცი, ბ-ნი ე. მალუს მეთაურმა დიდი უკმაყოფილება კამოიწვია თვით „საქართველოს“ რედაქტური. მიუხედავთ იმისა, რომ იღნიშნული მეთაურის შეთხვზეზე ერთი ცხენის ძალაც^(*) არ დახარჯულია, სარედაქციო კოლეგიამ არ მოიწონა ასეთი მფლარგველობა.

მონიალი.

*) ერთი „ფირის ძალა“ ხომ მაინც დაიხარჯებოდა!
ესმაცი.



ს ი ზ მ ბ რ ი ლ

(მ ი ბ ა დ ა ს)

ერთ ქარ ეგლ მოქალაქეს შიშით გამოედგიძა.

(აბა რა საქართველო, მას ცუდი რამ ეს იშმირნ?)

ჯერ მილშიაც ბორგავდა, ჰეგმინავდა, ჰესრიალებდა,

(ბ. სტურმის მწერდილთა ბრუნავდა, ტრიალებდა,)

სუნთქვას სან უძატებდა, სან ჰუფეოქდა მინაბული

თითქო გულდამშვიდებით, თითქო ბედის ეაბული.

სიამით აზმორებდა ბირს დიმ გადანაკრავთ,

მაგრამ გველავ აგზნეობდა, როგორც მახვილ ნაკრავი.

— ეგ არ შეიძლებათ! — კიდევაც წააბოდა,

როცა იგი ლოგინში შეოთავდა, ობგადობდა.

აი, შეუტლიდ შეიგრა, მწარეთ ამოისენება
 და მუშტიც მოიღერა მრისესანედ... (საბან ქვება!)
 მნელი აღსაჩრეოდა იმისი სატანჯველი,
 ფეხებში ებლანდოდა ოდეს საბანი ძველი...
 გაჭერავს, გაიფარიშება ჩითი სამოთეული!
 (ნეპიც არ დარჩენილა იმისგან დაძლეული!)
 მიდამოს აურეუბდა ჭრიალი ფიცრებისა,
 შედეგი უტეუარი ტიალი სისმრებისა.

რა ნახა? რა ესისმრა ეგ ზომ დასაღონები?
 რამ გაჭადა ვაშებცი სევდის დანამონები?
 ნუთუ ჩარჩი, მევახშე ძილში წამოეჩვენა
 და ამ სანასაობამ დალაზერა, შეაჩვენა?
 იქნებ ბანკში «ტორგებზე» უკიდიან მამულსა
 და ოჯახის დამხობა სტანჯავს დამწვარ-დაგულსა?
 იქნებ ომში მოუკლეს ვაჟი სათავეანები,
 ან სვალისთვის ეგულვის ბრძოლად წასაუანები?
 იქნებ წვრილი ცოლმეტილი მან უედარ გამოჭეპები
 და სიკვდილის აჩრდილი სისმარტიც თან დაჭვება?
 ექნებ ცოლი ეშმაკობს, ცოლი მზეთ უნასავი
 (და ვინმე მევაბარი ჭუაგს მას გასალასავი?)
 ან, იქნებ, მას აფსენი შესვდა უკურნებელი
 და იმით იტანჯება უბედური, მზებნელი?
 აბა რა სათქმელია!
 ან რა მოსახსენები!

(ამ ჭირს მოუკონებდენ მას ბორტი ენები!)
 ის გმირია ბუნებით, ჭირში განასალები
 და ამცვარი სისტებით აუცრემლეს თვალები??
 არა. იმან ისილა მეტი საშიშროება
 და ამისგან გმირ სახეს შიშის ქარი მოება.
 მან ნახა... ეჭ, მკიონეელო, ნეტა რას იძენები?..
 ნახა, რომ მოშსპარისეო ჩვენში. არჩევან ები.
 არც აშეარა კენჭობა, აღარც თუ დაჭარული
 და მისოვის წამოიძრია სევდით გულ დაღარული.

პატიოსანი სიტყვა

(ნაწყვეტი აჩემი თაფგადასაგალისა“)

..ჩემთვის არშიყობის უნარი ღმერთის არ მოუცია. ქალებთან სიირნობა და ლაპარაკი ბაზუობიდან ვე ჭირივით მძაგდა. ამის გამო არა ერთი და ორი მწარე დაცინვა ამიტანია. ერთ დღეს, ჩემდა საუცემუროთ, ერთი ლამაზი ბანოვანი გავიცანი; მე ის ძალიან მომეწონა, როგორც ახლა ვატყობ, შემიყუარდა კიდეც; მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი უდიომარება: ვერც დაველაპარაკე, ვერც გავყევ, ვერც გამოვყევ, ერთი სიტყვით, ვერ მოვიქეცი ისე, როგორც საჭირო იყო. ის ქალი კი, ეტყობოდა, ძალიან ეშმაკი იყო. სწორეთ რომ იყო. როგორც კი შემატყო გამოუცდელობა, პირდაპირ წვალება დამზურო; გადაკრული სიტყვები, დაცინვა თვალით, თუ ენის გამობზეკით ჩემთვის არ დაუკლია. ამან ჩემზე დიდათ იმოქმედა და ალბათ ამის მიზნით გადაწყვეტე არშიყობა მექწავლა. ერთი ამთანაგი მყავდა, რომელსაც ქალები, როგორც თაფლს ფუტყარი, ისე ეხვოვოდა; არშიყობაში ზედ-მიწვენით დახელვანებული იყო, მთელ ჩვენს ქალაქში პირველი კავალერის სახელი ჰქონდა მოსვეუპილი. მივედი მასთან, გავაგებინე ჩემი განზრახვა და ვსთხოვ ჩემთვის სელმძღვანელობა გაეშია და ესწავლებინა ის, რისთვისაც ქალებს მამაკაცები მოსწონთ. თანახმა გახდა. იმ დღესვე მომცა პირველი გაკვეთილი არ-შიყობის თეორიიდან. გაკვეთილი ქალებთან ბაასს შეეცებოდა და მისი შინაარსი მოკლეთ ასეთი იყო: ქალებს ებაასე იმ თემაზე, რაც მათ მოსწონთ. პირველათ ყოველთვის მათ მოუსმინე რათა გაიგო — რის შესახებ უფრო სწყურიათ ლაპარაკი.

ამ გაკვეთილის შინაარსი კარგათ გავიზებირე და იმავ საღამის ავედევნე კუდში ჩემს მეგობარ-მასწავლებელს. მეგობარმა ერთ რჯახში მიმიუვანა, ორი ქალიშვილი გამაცნო და კიდეც ჩამტოვა იმათ ხელში; თითონ საღლაც გიპარა. ჩემი მასპინძლები მხიარული ხალხი გამოდგა. შეხედულობითაც არა უშავდათ რა. დები იყვნენ, მაგრამ ერთმანეთს ოდნა-უც არ ჰგავდეს. ერთი — მაღალი, წერწეტი, მოხმო, სოშვო, და ეშიანი იყო... რისიანთ ლაპარაკო-ზდა, ნაკლებთ იუნიოდა და დრო გამოშვებით

ისეთი თვალებით შემომხედავდა, რომ ტანში ურუ-ანტელი მივლიდა, — არ ვიცი — შიშით მომდიოდა ეს თუ ქაყოფილებით. მეორე პირველის სრულ წი-ნააღმდეგობას წარმოადგენდა: იყო დაბალი, მსუქ-ნათ ჩამრგვალებული, ძალაზე თეთრი და იერ ნაკ-ლები; კივილ ნარევი ხმით ლაპარაკობდა, წამ და უწუმ იცინოდა, ერთ ადგილზე ვერ მაგრდებოდა.

ჩემი გაცნობა, ვატყობდი, ორივეს სასიამოთ ჰქონდა, მაგრამ მე მაიც სიძწრის თფლში ვაწუ-რებოდი. ვიჯები მუჯახის და არ ვინძრებოდი.

— თქვენ ყმაწვილო, გეტყობათ, მორცხვი ყოფილხართ, შემნიშვნა შავგრებანმა.

— მეც ასე გატყობთ, გადიხარხარა მსუქნათ ჩამრგვალებულმა.

— მორცხვობა საუკეთესო თვისებაა... მეტა-ლრე ჩვენს დროში, გაეგრძელა პირველმა. აქ რა-ლაც უნდა მეთქვა, მაგრამ ამ დროს მსუქანმა მო-ულოდნელათ წამავლო მაჯაზე ხელი, ფანჯარასთან მიმხარება და გადამახედა:

— იმათ იუნიბთ?

ქუჩაში ორი სხვა და სხვა სქესის ახალ-გაზრდა მიდიოდა — ერთმანეთზე თითქმის მიკრული.

— იმათ ერთმანეთი უყვართ...

— რა უშავს, ამოღარლნე მე.

— არაფერი, მაგრამ... თქვენ იუნიბთ იმ ქა-ლიშვილს?

— არა.

— ხა, ხა, ხა! წასკდა მას შეუკავებელი სი-ცოლი.

— ის ყმაწვილი მეთექვსმეტეა, მითხრა შავ-გვერემანმა

— როგორ?

— მაგის შეუცარებამდი იმ ქალიშვილს ხუთმე-ტი სხვა უყვარდა.

— ვაი, მეხი კი დავაყარე მაგის თავს, ძლივ-ძლივობით ამოილაპარაკა მსუქანმა, თან-ძალათ სი-ცოლის შეკავების გამო — ხელია აუგარდა.

— მარა მაგას რაღა გავუმტყუნო, როცა მა-რუსის ეხლა რო საქმრო ჰყავს, მეორმოცეა.

— მარუსია ვინდაა?

— არ იუნიბ? მეითხა უმცროსმა.

— არა.

— რომ გაიცნოთ, მეორმოც და ერთ თქვენ

იქნებით, დარბაისლური კილოთი მითხრა შავგვრე-
მარა.

— თქვენ არც თამარას იცნობთ? შემეყითხა
მსუქანი.

— რომელ თამარას?

— ის იმას, აფიცერმა რომ... ღმერთო ჩემო,
მრტვენია... ხა, ხა...

— რისა გრცხვენია, გაუმტყუნა უფორსმა, მას
გაკეთების არ შერცხვენია, და შენ თქმა გაწიოთლებს?..
ის იმას, მომიბრუნდა მე, აფიცერმა რომ ბუში შეს-
მძინა.

— არ ვიცნობ.

— თქვენ, გეტუნბათ არავის არ იცნობთ

— არც პისტიას იცნობთ? წამოიძახა ისევ
დაბალმა,

— პისტია! შეუბლზე თითო მივიდე, თითქოს
ეს არის მოვიგონებ მეთქი.

— ის იმას, შარვან რომ ვიღაც სტუდენტს
აეკიდა და ორი თვის შემდეგ ისევ უკან დაბრუნ-
და, განმარტა შავგრემნია.

— ა ა ა... ცნობით არ ვიცნობ, მაგრამ გა-
მიგონია კი.

— არც იმას იცნობთ, ამას წინათ რომ ნო-
ქართან შეესწრენ?

— პირადათ არც იმას ვიცნობ, შორე-ახლო
კი, ვიცრუე მე.

დიდანან გვრდელდა ასეთი საუბარი. ჩემი მა-
სპინძლებიდან ბევრი ამჟავი გავიგე. მათ არც მამა
კაცები დარჩენიათ უყურადლებოთ. დავრწმუნდი,
რომ მათ სხვისი, —განსაკუთრებით ახალ-ვაზდა ქა-
ლების, — კილვა და ძაბვა მოსწონდათ. თეორიის
ძალით მეც ამ თემაზე უნდა მეღაბარავნა, მაგრამ
უცხელურება ის იყო, რომ მე არც ერთი ასეთი ამ-
ბავი არ ვიცოდი. მეტი გზა არ იყო — რამე უნდა
შემეთხა. ასევ მოვიქეცი: მივსდექა ჩენს ქუჩაზე
მცხოვრებ ქრთ ქმრიან ქალს და იმდენი ვლანძლე,
რომ პატიოსნებიდან ფეხი გამოვადგევინე. ჩემი
მოსაუბრებს ამით ძალიან ვამე; მეც ნაირამოვნები
დაგბრუნდი სახლში. ეს კი ესთხოვე მათ — რაც ეხლა
ქსთქვი, ჩენში დარჩეს მეთქი. იმათაც პატიოსანი
სიტყვა მომცეს და მხიარულათ გამომისუმრეს.

ლამის ათ საათზე ჩემთან ერთი ჩემი მეზობე-
ლი შემოვიდა. შოშყენილი იყო; მიზეზი ვკითხე.

— პირადათ მე არაფერი მომსვლია, მაგრა
ეს მაწუხებს, რომ ადამიანს, თურმე, აღარაფერი
დაეჯერება... კაცის ცნობა შეუძლებელი ყოფილი.

— რა ამბავია? შევეკითხე მე.

— აი მე №-ის ცოლი მე პატიოსანი ადამიანი მე-
გონა; თურმე რა შეაშია, გარყვნილზე უგარყვნ-
ლესი ყოფილი.

დამტელა ტანში.

— რა იცი, სად გაიგე?

— მთელ „ბულვარში“ სხვას ვერაფერს გა-
იგონებ, ყველა №-ის ცოლზე ლაპარაკობს. მაინც-
რა ყოფილი ეგ ოჯახქორი! თურმე, ქალიშვილობის
დროს ორი ბუში გაუკეთებია, ახლაც ხუთმეტაზე
საყვარელი ჰყოლია...

ეკვი არ იყო, რომ ეგ ჩემი სიტყვები მოპეტინე
ქვეყანას ჩემთა ხალმა ნაცნობებმა. უდანაშაულო
ადამიანის გალანძღვის წყარო შევიქწი, მაგრა
რალას ვიამდი! ასეთი სანდროა ზოგიერთი პატი-
ოსანი სიტყვა.

d.

მას და უვილი

უვილო, აქ მოდი, დამიგდე ყური,
მსურს გითხრა რამე, მამაშვილური.

დაიმახსოვრე რასაც მე გეტყვი,
თავი იცანი, ნუ ხარ პირუტყვი.

საკაცობრიო აეთე საქმე,

კეთილი აქე, ბოროტი დაპგმე.

არ დაიფრწყო მოძმე ჩაგრული,
ნახო უჭირდეს, მოპბანე წყლული.

თუ კაცი კაცა სხავრავდეს ნახო
სიტყვა უთხარი, ხელი არ ახლო.

ცემითა კაცი არ გასწორდება,
პირიქით, კეთილს თლა დაშორდება.

ხალხს უერთგულე რათაც გილირდეს,
კელავ ხალხი გიხსნის რომ გაგუჭირდეს.

შენი იგმარე, ნუ გინდა სხვისი,
არ შეირცხინ, შვილო, სინდისი.

ქედი არ ხარო წინაშე მტრისა,
გულს შთანერგე იმედი ხსნისა.

უფცს, უსწავლელს თუ სადმე შეხვდე
შეაგნებინე, ძმურათ მიხედვე.

ტ. შევჩენკოს საღამო



თფილისელ მოლოროსთა ჯგუფი კვირას, 26 თებერვალს სახლხო სახლში მართავს სალიტერატურო საღამოს ღიდებული შემსრულებელი.

ტ. შევჩენკოს

ხსოვნის აღსანიშნავათ.

რაც გითხარ, შეიღო, ხომ გახსოვს ყველა
აბა, მოშიყევ ახლა ნელ-ნელა.
შვილმა მიუგო: „რაც შენ ბაასი
დაიწყე, მამავ, შემდევ სამასი
ბუზი გაფრინდა ჩვენს თვალთა წინა“. .
მამამ ეგ სიტყვა ძლიერ იწყინა
და ურჩი შეიღო მიბეგვა რიგზე,
უთანასწორა განი და სიგრძე.
შვილმა მიუგო; —სირტყვილი შენი,
წელან რა მითხარ, —ახლა რა ჰქენი! —
„კაცი ცემით არ გასწორდებაო“. .
განა შენ თეითონ. არა სთქოვი ესა?
რაც შენ არ მოგწონს და არ ასრულებ,
მის შესრულებას რათ ურჩევ სხვებსა?
გაფრინდა მეთქი ჩვენს წინ ბუზები,
გამოსაცდელათ ვთქვი, ეგ სიტყვები.
თუმცა კარგად მწამს: რომ შვილისაგან
მამის გამოცდა არ არის რიგი,
მაგრამ მინდოდა შე ის შემეტყო:
რასაც ამბობდი თუ იყავ იგო.

კ. ბალაბაში

სიძირის თაიგული

1. ერთი გამოკვლევის აჩბავი.

(ზეცნიერთა ხაყურადღებოთ)

ამ ორი კვირის წინათ მიყიღე ჯამაგირი; მაგრამ ყველაფერი ხომ „ქვიშის ბაჭრად“ ფასობს და, არ ვიცოდი რომელი ერთისოთვის გადამედო ჩემი არა სახაბიერო თანხა. ბინის ქირა რომ გადამეხდა, მთელი თავისი საშინელებით წამოჰყოფდა თავს სურსათ-სანოვაგის საკითხი. უკანასკნელზე ზრუნვა კი გაამშვებდა ბინის საკითხს. ამ ორ ცეცხლში შომწყდეულმა, ბინის ქირაში მავდელი ნახევარი და გადაწყვეტებული დანარჩენ განას მიყყობი, სანამ კი მყოფნიდა — რომ ამრიგად ბინაც მეონოდა და პურიც არ მიმკლებოდა.


მაგრამ ჩემი საზინა მალე დაიცალა. ბინის ქირაბის ვადა გავიდა. ამიტომ მოვიწევი „მექველე“ და გავანალდე ჩემი საბანი. ხოლო ამ უკანასკნელი გარემოების წყალობით წავაწყდი სრულიად მოულოდნელ ფიქრებს.

როცა საბანი მეონდა და სიცივესაც არ ვერძნობდი, მევონა რომ შიმშილი იყო ქვეყნათ ყველაზე მეტი ებედურობა. — შიმშილის გარდა ყველაფერს აიტანს კაცი-მეოქი, ვფიქრობდი. გუშინ კი, როცა გავყიდე საბანი, ვისალილე და ღამით მარტო ზეწარის ამირა დაერჩი, დაერწმუნდი, რომ ყველაზე მეტი უბედურება ქვეყანაზე სიცივე ყოფილა. დავრწმუნდი ამაში და ფიქრთა შლილს ჩამეძინა.

დღლაზე რომ გამედვიძა დაერწმუნდი, რომ არ გავყინულიყავ ჯერ. ფრიად გამიკვირდა ეს მოყლენა, მაგრამ როგორც ფაზიკის მცოდნე საჭიროთ ვეცანი შევდგომოდი მის ახსნას.


არის ბატონებო ცელილებათა ისეთი სისწორე, როცა „გარეშე განმათავისუფლებელ“ გავლენას „გამოკყავს“ საგანი „გარინდებული მდგომარეობიდან.“ მაგრამ თუ არის ისეთი გავლენა, რომელსაც „გამოკყველების ხოლმე, რატომ არ უნდა იყოს ისეთი გავლენა, რომელსაც „ჩაჰყავს“ საგანი ცელილებათა ვითარებიდან „გარინდებულ მდგომარეობაში“ ეს ყოფილა და კიდევაც გამოცდადე... აღმიანის სტამექი შეუწყვეტლივ სარჯაოს სითბოს. ამიტომ მეუნდა გავყინულიყავ, რომ არ ყოფილიყო „გარინდებაში ჩამაყენებელი გავლენა.“ ასეთი გავლენა იქნა-

1 6 1 3 0 8 1 6 3 1 0 ტ 6 0



ბ-ნებო! გიორგი ლასხიშვილმა მიიღო 472 თეთრი... ურა!
(მარჯვნივ ბარომეტრი მაღლა იწევს, მარცხნივ დაბლა ეჭვება).

პ ე ლ ი გ ა რ თ ა ც რ ი



ბ-ნებო! ნიკო ელიავაშ მიიღო 492 თეთრი... ურაა! (მარცხნივ ბარომეტრი მაღლა იწევს, მარჯვნივ დაბლა ეშვება)."

ნია ალბათ ზეწარმა, ოომელმაც თურმე გარინდებად ჩააყენა პროცესი სითბოს ხარჯვისა ჩემს ორგანიზმი და მით იხსნა იგი გაყინვისაგან.

მომივიდა ეს აზრი თუ არ, აფთრთოლდი და ვიგრძენ, რომ ბედნიერი ღიმილით ამითამაშდა სახე. — ჯერ ერთი ასეთი გამოკვლევა რა ღირს! ერთი ლექტია... ბიჭის!!.— მე წარმომიდგა საუცხოვო სურათი: ჩემი მაგიდა დატეირთული შაშით და ცველით, შემწვარი ქათმებით... აგერ კახურიც... აგერ ღომი და კიდევ ას!..

მე საჩქაროდ წამოგხტი, დავიბანე პირი და... მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ ფეხი გახურებული იყო.

ეს! მომავინდა რომ ლოგინის ფიცრები დავამტვრი გუშინ და ჩავაწვევ ფეხში.

მე გისაჩერებლე იმით, რომ დიასახლისი შინ არ იყო. მაგრამ საცა მოვა, და შენს მტერს იმან დღე დამითენოს!..

2. „ცივი სიხალისე“

(ქაიტიკოსების ს ყურადღებოთ)

ერთი ბელეტრისტის ნაწერებში დამატყვევა შემოდგომის საღამოს სურათია: „ხეთა წვერები იკარგებოდნენ ყინულიანი ღამის ცივ სიხალისეში“—ო. და შემიყვარდა მე ის მწერალი.

მისი სიტყვებით აღტაცებულს ხშირათ მიგრძნია ზაფხულის გრილ საღამოებზე, თუ რა სასიცოცხლი ძლია აკრთობდა მთელი სამყაროს კიდევ პირად ეს ორი უბრალო სიტყვა:

„ცივი სიხალისე.“

როცა მთვარიან ღამეში, ხაფერდოვან ფერადებით დაფიქტულ გრძაკიდან გადავყურებდი თარგულივით გაფურჩქინილ მიდამოს;

ამამატებილებულ სიოს ბგერაში, მოლიკლიკე ნაკადის ტალღათა ცეკვაში, ხშირ-ფოთლოვან ტყის ჩურჩულში, მესმოდა მხოლოდ ერთი:

„ცივი სიხალისე“.

და ვერ წარმომედგინა ჰარმონიის ისეთი განცდა, რომელსაც ვერ გამოსტევამდა:

„ცივი სიხალისე“

მაგრამ განვითო დრომ. გაპერა ზაფხული, დადგა შემოდგომაც. და ერთი მშვენიერ ზამთრის დღეს დიასახლისმა გამისტუმრა ოთახიდან „ფინანსიური კრიზისის“ გამო

ვნახე მე იმ საღამოს, ამ რიგად, მთელი თავის სინაზით „ყინულიანი ღამის—

ცივი სიხალისე“

და მიგხვდი ჩემი მწერლის პირუტყულ ევოიზმს, გალადებული მხეცის ეგოიზმს!..

— ალბად ის თხიავდა თბილ კაბნეტში, და უოფილი და ღალი! — გავიფიქრე ბრაზმორეულმა და უქაყაფილების გესლიანი შავი გველი ამოძრავდა ჩემს გულში.

„ცივი სიხალისე“ — წამოვროშე ზიზლით და გადავიტყურთხე... არ ვიცი რატომ.

მას შემდეგ როცა ნერვება-აშლილს გულს გადმეყრება მდუღარება, როცა მთელს ჩემს არსებას დაბყრობს „შემოდგომის ყინულიანი სუსტი“, თოთქო განგებ, თითქო ჯინით მაგონდება:

„ცივი სიხალისე“...

და ვიტანჯები, ვიტანჯები უზომოდ, უსაზღვროთ... და მძულს, მძულს მე ის მწერალი!..

თარაზი.



ვეჩიმრედი

(გურული სცენა)


არა, ამხელა კაცი გევიზარდე, მოვხუცი კაცი იგერ და ი ვეჩერედი თუ გამეგონოს შემარტევინოს ღმერთმა. რავა არც ისე ყრუი გეგონოთ, რომ აფერი მესმოდეს! ქობულეთში და ჭიათურაშიც კავარ ნამყოფი, პაწე ცხოვრებაში გადახდულიც ქვარ, მარა რომ ვამბოფ იმას გულაძლილათ, ი ვეჩერედი რას ეთქვა, არ ვიცოდი, რაც მართალია, მართალია. აგი კი მახსოვს, კალანდას წისქვილზე

— ღოლაბზე კას სამ ფუთ სიმინდს ყოველ კვირეში ჩიაგარისელებდი ზურგზე მოკიდებულს, იქინე ერთი ღოსტი მეწისქვილე მყავდა, კათ კაცი იყო ააშენა ღმერთმა, პაწა მინდის მოტორა ქე უფვარდა კარგათ, მარა ისე მაიც ჩემდა კათ იყო: მეტყოდა: „ჩემო თემუყა, შენი სირა ჯერ არ არის, ამელი არც ქე მოგიწიოს ეგება სირა“, მარა ერთი ღოლი ყალიონი ქონდა, ქე მიღიოდა შთი ერთი ნახევარი გირვანქა თუთუნი, იმას გუუბეკნიდი კარ-

გად დაფუნდილ თუთუნით, ერთ ორ კეცა თუთუნს ისე დავპირდებოდი და მაშვინათ დააყრიდა წისქვილს ჩემს სიძმიდს, ეს იყო და იყო და ეს — თურმე მე რომ „სირას“ ვეტყოდი იგი ვეტყოდი უოფილა ქართულად მაგრამ აგი რავა ვიცოდა... ორ დას-წყველოს ღმერთმა მისი მომგონი, რა უბედურობა რამე მაი ვეტყოდი უოფილა... ამ ვაინბაზე ვინც კი გადარჩა ჯარში გაწვევას. ყველა საცხა საცხა გადაფანტა ფულის საშორად — ფასი არ აქვს თვარა ფული კი იშრება ოხრად, არ დაშაუენა ჩემმა ქალმა მარიკელამ სახლში: „წადი და წადი, გადი ეთრი შენ წელ მოწყვეტილო საცხა, ქვეყანა გამდიდრდა, შენც იშონე რარი კაპეკიონ“. რა მექნა, მეც ქე შემცხვა, არ დაშაუენა, ქალმა სახლში, თვარა რავა გადავდგამდი სამე ფეხს, პაწე ქე მეშინოდა ღვთის წინაშე, ამ ასეარიე-დასეარიეს ღროს არ მიმპყნიტოს ვანმემ საძმე მეთქი. ავდეჭი, ჩევედი საჯოვოხოის ტანციაზე, მივედი საბილეთე ქასასან, მარა ვინ მიგიშვა, იმდენი ხალხი იყო ჩიწაპული, მუჟარე წინდამიდან და მინდოდა ბილეთის კასასან მისვლა ჩქარა რომ ამეღლო ბილეთი, მარა მოვარდა თოფიანი რესი და დამიყვირა: „კუდა ტი იღოშ, ნაზად — ვეტყოდი სტოიტო“ — მე კიღომ ვერ მივხდებოდი მარა, მომჟილო ხელი და წამპშიალა უკან, მაშინ იყო მიეხდი — ვეტყოდი ყველს უკან გაერებას და ყურყუტს ქვიებია მეთქი; მევიდა ერთი ჩინგიანი კაცი, იმან ქე ეღლო, არც ვეტყოდში ჩუუყენებიან და არც რამე. ევიღე რავარც იქნა ბილეთი, მარა პოვეზში შესვლის არ იკითხავთ — იქინეც მიყვირეს: „ვეტყოდ ნადაო“. ჩევედი ბათუმში რავარც იქნა, პოვეზდიდან გაღმოსვლისასაც ვეტყოდი დამპირდა. მომშივდა ძალლივთ; რო ვიკითხე პური სათ იყიდებათქვა, მიმასწავლეს ერთი ფურნე. მივედი, იქინეც ვეტყოდი იყო. მარა ჩემი ვეტყოდი მაინც ყველას უკან იყო, რაცხა ეშმაკათ ყოველთვის... დავდეჭი აღგილზე ბათუმში, რაცხა პაწა ჯამბაირს ქე ვლებულობდი, მარა ამ ვეტყოდმა გამიტივრა საქმე; პური დამჭიდრა — ვეტყოდში ვიდექი სულ, რამდენი შუჯლუაფუნი და პალური მე მომხდენია ვეტყოდში, იმდენი სიკეთე მე მომეცეს. ზქარი დამპირდა, ვეტყოდი, ხორცი დამპირდა, ვეტყოდი, ტრიანტში შესვლაზეც ვეტყოდი, ფუშტაში შევედი მარქების საყიდლათ იქინეც ვეტყოდი. მოვკედი კაცი, წევიდა სული ამდენი ვეტყოდი;

არა წავალ სახლში, არ მინდა აქანე ყოფნა, ამდენ ვეტყოდში დეომას შინ „ყოფნა მირევნია, თუუკინ-და სამჯერ გამოიხოს დღეში ჩემმა მარიკამ, სახლში კი წავალ მარა ვინ ამიღებს ბილეთს, ვეტყოდი იქანე მკიოხე, თვარა სხვაგან კიდევ არაფერი უკიის... ამდენ ვეტყოდში დეომას სიკეტილი მირჩევნია სწორეთ... დიდი სიამოვნებით ვირჩევ სიკეტილს, რომ ვიცოდე ნამდვილათ, რომ საიქიოსაც, ვერმობრუნ-დის ქვეყანაშიც ვეტყოდი არ იქნება. სამოთხეში შესვლის იმედი რომ შეკნდეს, იქნე კიდევ გოუძლებ ვეტყოდეს, იმიზა, რომ ხმოოთის კართან ცოტა ჩინებიან ვეტყოდში, ვინდაა ახლა ცხონებული... მე იმის შიში მცლავს, რომ ჯოჯოხეთისკნ მაქ გზაი, იმდენი შემიცოდება ღვთის, ვაი ჩემ დღეს, იქნე უნდა ნახო ჯოჯოხეთის „კარზე“ ვეტყოდი, ცა და ქვეყანა ჯოჯოხეთში მივა ახლა, ვინდა არის ცხონებული, ყველე წიწყმელია — ისე ეისვარა ქვეყანა... ამიზა რომ არ მეშინოდეს სიკეტილი კი ჯობია ჩემს სიცოცხლეს.

ლუკაიოს ობოლი.



დაგვიანებული მოლოდებები

(გუბლები ნ. კოციძიძეს)

ოჲ, ბაროვ ნიკო, ბაროვ! შენი სულის ჭირიე შენი, ნაღდი ხარ ნაღდი უფლის მაღლმა შენა ხარ ჩენი შეტრიკა, ჩენი დარდების გამარებელი. რაც უნდა ნებრიატნათ ვიყო, რაც უნდა მოხუშული ვიყო, სულ რომ ზეთი ჩამომდიოდეს ცხირბირზე, შენ რომ გამოხვალ ცენაზე და ჩენი პავლაბრის თინებს ითამშებ, ხელათ დარდები გულიდან გადამეტება ხოლმე და ქიზიყელი ვირივთ ცჯლოყინებ, იმდენს ვიცინი. ღვერტმა ააშენოს ამ ტრიანტის მამონი, პირდაპირ სარკა რაღა! სულ ყველაფერსა პედად კაცი, სულ წინ გხეატება ყველაფერი, მთელი შენი ნაქნარი წინ გიდევს და უყურებ რაღა! იცი რამდენი ჭკვა გვისწავლით ამ ტრიან-

რიდან? ეს „ნაროლნი დომი“ პრამათ ჩვენი ღემნაზია ქრისტეს მადლმა და შენ კი ჩვენი ვარებაპეტა. მალადეც, ჩესნი სლოვა, მალადეც! ყოჩალი ბაჭი ხარ, ორეგმ სხვა ამდენს ვერ შესძლებდა. შუტკა შტოლი ოცი წელიწადია კაცი ლაპარაკობ, რატომ ან ენა არ გეღლება, ან ტვინი! ლაპარაკი და მერე რანაირი ლაპარაკი! სხესავით კი არ მიედ-მიედები. რასაც იტყვი სულ ოქროა, ოქრო. ჩვენი ტერგურქა ორმოცი წელიწადია სულ ქაქა ნობს, მაგრამ რა ყრია შეგ! სად შენი შნო და ლაზათი და სად იმისი! რამდენი წელიწადია ტერმოლომის იზეპირებს და მაინც რიგიანად ვერ უთქვამს! ვა, შენ რომ ერთხელ ჩვენი ბიჭების ქეიფი ითამაშე თავის დღეში არ დამავიწყდება. არა, ცოტა უპურმარილო კი ხარ, მაგრამ მაინც ჩვენი ნიკა ხარ გენაცვალე კარალინჯა სახეში. არა, შე პირშევო, ქალაქელი ბიჭი და ასე მარტო ქეიფი გაგონილო არა, რომ დაჯდები იმ ცენაზე და ყლაპამ ნეუჟელი ჩვენ ხალხი არა ვართ, რომ ერთი სტაჭნი ღვინო ჩვენც მოგვაწილო განა ასეთი რუსული ქეიფი იქნება! ეს, ალალი იყოს შენზე ყველაფერი, ოლონდ შენი ხმა ნუ მოგვაჯლდება და შენ რომ შიგნით ტიკებისა იცი ისე გვაცი ნე ხოლმე.

—
იდენტელე, გენაცვალე,
რომ გვაცინო შენებურათ,
მიუდგომლათ დაგვიზატე
მგლი მგლათ და ტურა ტურათ

—
და ბოლ შტო იშჩო დოლგი
ვრემია უილ ტი ნა სეეტი,
რომ ჩვენ ქალაქს მოაშორო,
მეტიჩარა და ჩერჩეტი.

—
გენაცვალე სახეში, რომ
გიყვარს ხალხი დაჩაგრული,
დლია ტებე უმირამბ
ტიგრან, სედრაკ და კაკული.

—
მოგსულვარ, რომ მეპრაზნიკი,
მოგილოცო ვსემ დუშიო,


ია თებე ნე ზაბულუ,
ვსეგდა ბუდიშ ტი ბრატ მოი!

—
ეივი სტო ლეტ ამ ქვეყანას,
ჩვენო შუტნიკ, ჩვენო ნიკო,
თუ რომ მე შენ დაგივიწყო
მაშინ მე შულიკი ვიყო.

—
დვაპატ ლეტ ტი ბრატ შუტკუში,
შუტკა შტოლი სტოლი შუტიტ,
შე თათარო ტაკ შუტკუში,
თითქოს გედგას შუტკა გუდით!

—
დარაგოი, ჩემო ნიკო,
რაღა ესთქო და რაღა გაქო,
უფლის მაჯლმა ქარგი რამ ხარ,
ჩემო ახერ, ჩემო „საქო!“.

გოგია.



მოკითხვის წარილი

თაბუნო ოლდემარ!

მოკითხვას მოგახსენებ ნახვის ნატვრით გატაცებული და კეთილი სურვილებით აღზენებული. მარა რამდენთ შენი სიცოცხლე და კარგად ყოფნა გამიხარდა იმდენათ, (არ დაგიმალავ) მწყენია შენგან ასე გულციობა, ჩემდამი. შე კაცო, სირცხვილი არ არის შენს ამბავს ვინცხა ბესტუშევას ყურსონიკი ციცაიდან¹⁾ ვტყობილობდე?! ვიფიქრებდი ამას შენ ცოცხალი იყავი და ამდენი ხნის განმავლობაში ერთ ამბავს აღარ იქითხავდი?!

ამფერ-ამფერ, ბიჭო, შენს ყაზახობას! რავა, შე კაცო, კვირე არ გავიღოდა ისე, შენგან წერილი კიარა ტელერამა არ მიმდელო: „Положение критическое, переведи Недисять, Двацать пять, и да рა რავიც კიდევ რა. არ ვიცი იქნება ვერ გაგომართლე მოლოდინი მარა ეს ხომ მარტო ჩემი სა-

¹⁾ ცაცა გურაზშ ქადაგშიანს ნიშანეს

ქმე არ იყო და რაც შემეძლო ღმეთშა და შენ ორ-თავებ იცით ჩემი ღონე არ დამიშურებია და რა-ტომ უნდა იყო გულძვირათ ჩემზე?!

და თუ გულ-ძვირობა არა, მაშ რით აეხსნა ამდენი შენი სიჩურე?!

ჩემთან კაი თუ გინდა, ჩვენი რედაქცია მაინც გა-გეხსენებია. ყველის რომ თავი დავინებოთ „მათრახი“ „და ეშმაკის“ დავიწყება ეს პირდაპირ არ გეხატიე-ბა, რადგან მე შენი გაპირებით და დახმარებით შევ-დეგი ფეხი ჯოჯოხეთის კარგში და შენ როგორც გაჟი სამოთხისკენ მიბრძანებულხარ. კაცი რაფერ იქნება ასე ყველაფერი დევიწყო კაცმა, მარტო სუფსილან რომ ფეხით ჩამოვლილინებულვართ ფოთში ერთი მეორეს „ხათრიზა“ ჩვენებური კაცი ამას ვერ დევიწყებდა. მარა რავარც შენს ეხლანდელ მდგო-მარებას მწერს იგი ციცა, არ არის გასაკირი ჩემი დავიწყება. კაცი! გამაგებიყ მაინც მართლა თუ „სოუზგორილოვში“ ჩილონიკით ხარ?.. პეტრეს ქალაქში კიარა ხატისოვის ქალაქშიც „სოუზ-გო-რილოვში“ ჩილონიკობა ეს პირდაპირ ლურბენატ-რობა ყოფილა თვარი შენ რომ დეფანზი²⁾ აყრომო-ბილი და სათვალეებიანი შეფერი(³⁾ გიცდის რაღა გასაკირია და მე რილიზა გამიხსენებ როცა უტი-ლითონოთ თურშე აღარავის ელაპარაკები, მარა შენ რომ იცოდე როგორ შეიცვალა ჩემი მდგომა-რებაც (თუმცა შენსას არ შეეძლება) მაშვინ იქ-ნება ერთი ღია წიგნი კი მომწერო. შენ აღაბათ მე კიდევ ისე ძველებურათ გეგონები და მირჩევია გაგაგებინო ყოველივე: მსოფლიო გეოლოგმა პრინციპში დედა მიწის ზედა პირზე მოწოდილ სის-ხლის ზღვის მაღანს, რომ ხარაკეროში ბურღილი დაჭრა და შაბრევანი ჰაერში ასწრებინა, რომელმაც ქვე-ყის უდიდესი ნაწილი ღამის ამოახჩის თავის წი-ოელ ტალღებში, მას შემდევ, რაც მსოფლიო წურ-ბლები ამ სისხლის ზღვაში ვეშაპებივით დასუქდენ და დაღუპულთა დეღულ-მაშულსაც გადაყლაპვა-უბირებენ, მას შემდევ, რაც რაოდენივე სამეფო ტახტი დაცალიერდა და ძველის მაგიერ ახალის ივე-ბას აპირებენ, მას შემდევ, რაც ჩემი სახლისკაცი³⁾ სოფლის უჩიტელი პრიპორიკი გახდა და უწინ-დელ 28 მანეთის მაგიერ ეხლა რამდენიმე ას მა-ნეთს მარტო ჯამაგირს ღებულობს ნუ გაგიკვირდე-

ბა ჩემი მდგომარეობაც შეცვლილიყო. თუ მანამდი (შენობას) სპირდონა მეთორნე ჩემს კრედიტს მე-ლით (ანუ ცარცით) სახლის კედელზე აღნიშნავდა უაურს გვრალად 0, აბაზს ჯვარით ჭ ხოლო ჯვრ-სა და ნულზე ჭ 0 ე-ი მანეთზე რომ მიაწვევდა კრედიტს მიხურავდა, ხელა საქმე ისე არ გეგონოს. ჩამოდის სოფლიდან კამპერატიი აფხანაკი და ზრდი-ლობინათ მეტყვის: „ბ-ნო ბურუნა ფევრალი რამე-ფერად დაგვავალე და გვიყიდეო და ი შვიდი ათა-სი მანათი გამოგიგზნესო“ შვიდი ათასი! გესმის (შეიკავე თავი არ გაეცინოს). კიდევ ვარესს გეტ-ყვის: ხშირია შემთხვევა ამისთან შვიდი ათასი ორი სამი ადგილიდან მეიყრის თავს ჩემს ხელში და ვნატ-რობ მაშინ ერთი შენი თვალებით შამოგახედვა ჩემ-და, როგორ კამერას ტული პოზიცია გადავთვლი ასი-ანებს და ხუასასანებს და ყველა ეს ხომ იცი რას თხოულობს, ? იმას, რომ ხალხმა რამე განდოს შენიც უნდა გქონდეს რამე. რაზუმეება ჩემიც მაქ. შენ რომ კი-ოსკი დატი იგი ეხლა, ჩემო კარგო, თთავის მა-ლიზა არის (შეი მოლარეც ლომაზია) აბა.?? მარტო შენდა მობრუნდლ გვერნა წაღმმ ბედის ჩარხი, ? არა, მეც არა ვარ შენ რ.მ გვრინი ისე ბღნკათ, მარა ერთი იგი კი მაშტებს, რომ მე უბედურს ბედი რომ მუდამ რაღაც ნაკლ მაღენებს, რაღა ფასი აქ ჩემს ქონებას ნდობას, და სიძლიერეს (ტუნდაც ეს დროებითი იყოს) როცა, როგორც ჩემი ამბავი გითხარი ასე არის ყველა ვნეც ვინაში არ წავიდა და თავისუფლათ დარჩა. მართალია ვამა კაცებდან ცატა დაერჩით ან პოზიციაზე და ან „ზურგის უკანა“ გამაგრებას არ ვემსახურებოდეთ, მარა ვინც დაერჩით იმათ ქალალდის ფული შემოდგომაზე, რომ ქარიან დღეში ხის ფურცლები გინახავს რაყაში⁴⁾ ისე უყრის. რომ ნამდვილი წარმოდგენა იქონიო ჩენში ფულზე იმით მიგახდენ რომ მაღლაცელიდესთან სადილიზა თუ შეხვალ (კანურეებიშვითან ღმერთმა და-გიფაროს) და ქამის მაღა გაგეხსენება მაშინვე ეთ-ხევი შეშით და ხედავ რომ ნახარჯი მაინც 8—10 მანეთია. „ჩისტი“ ათ შაურზე ნაკლებ არ შემოგხე-დავს, მეფაიტონე, მედაროვე რაღა საკითხა. ტარნი კაცი! ფოთში რომ ტარანი გირვან ქა როი აბაზი ეღირება და მჭადის ფევილი ხუთი მანეთი ფუთი; იფექტე შენ ამაზე და მერე ისიც დაუმატე რომ შენ ბურუნა, რომელსც შენ ასე ივეჭყებ ვტა-როი კლასის გუცელში საღილობს ხშირად. აწი გინდა მომწერე წიგნი და გინდა ნუ არ გეგონოს რომ შენზე ნაკლებათ მაქ საქმე

2) დეფან ქართულათ შადაგზდა

3) სახლისკაცი ძმეს ნაშავს გრძიაშიში

ზენი გულუნა

4) რაკა აზრდალი ტემ გრძელებ გეღლია.

გრის ასამურუა

ქმაო ეშმაკო! დიდება მაღლოთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა შენის მათრახის კუდას! იმიტომ რომ შენ მაგ შენი სასწაულთმომშემდი მათრახით პირდაპირ, ერთის დაკვრით ნათლავ; თუმცა მწვავე ოპერაცია, ჩაგრამ უებარია, მისწრებაა. მიტომაც, თუ საწყენათ არ დაგრჩება, დღეის შემდეგ ნათლიას დაგიძახებ. შენ ნათლია, მე ნათლული.

მაშ ასე ჩემო ნათლი.

მართალია შენმა ექსკურსიამ აქ ჯერ-ჯერობით უხიფათოო ჩაგიარა, მაგრამ სულ მუდამ შენი წეწუხებაც არ იქნება, ნათლი.

ამიტომ თუ შენი ნება იქნება, მიმსახურე, შენი ჭირიმე, შენი მხელევლობის და მფარველობის ქვეშ მაყყოფე და მე ვიკისრებ აქთეკნ შენს მაგრა ერთობასა. მხოლოთ ეს კია; რომ მათრახისათვის ტყავი ალარც აქ იშვება, სხვა სიკეთესთან ერთად ტყავის შიმშილობასაც განვიცდით, თუ ნებას მომცემ, შენასული მაქვე ერთი კაი მოქნილი ითნის სახეე და იმითი შევიარალდები. ღმერთს გეოიცები ნათლი, უსაბუთოდ და უსამართლოდ არავის ვერჩირ.

შენ გამოიგრჩენია, ჩემო ნათლი, ერთი მთავარი გასმათრახებელი, რომელიც თურმე ძალიან გემდურება, რატომ ჟე არა მცა პატივია; მე განავისწევ რა ნავწევ გარო.

მაშ მე გავწევ იმისკენ ლაზარეთში სახრით ხელში, თან გავყოლებ ექიმებს ნ. კლიმიაშვილს, ჭ-ნ ბოგატოვას, სტუდენტს გ. ზახარიანცს; ფერწლებს: შ. ინასარიძეს, კ. შოთას, ბ. მანკოვს, კ. დგგმუაძეს, ყოფილ ჰედამხედველს ი. ირემაშვილს, ყოფილ კასკანსტელიანშეს სრუშაშინვს და ტერაკოფოვას, მოსამსახურებს ა. ჯულაბოვს, ბ. იფუაურს ყოფილ ეკონომ ი. ქიტაშვილს და მრავალ „სიცელებს“ და მუშებს, მწკრივია დავაყენებ მა ხალხს მას თავზე მის კაბინეტში და კითხავ ამ მთავარ ესკულაპს: ნუ თუ ეს ამოდენა ხალხი ყველა შენთანა სტუოდა და შენ არც ერთთან?! რა დააშავა ამ ხალხმა, რომ ეს ხალხი მიღალ-მოღალე თითო დაკირით, გაუსჯელათ და გაურჩეველათ? რატომ არ გასდევ სამედიცინო სამართლაში ი. ირემაშვილს რა პასუხს აძლევ შ. ჯავახიშვილს, ლ. გ. მარსაკოვს და ლ. ონიაშვილს ქურდათ დამტკიცებულ ეკონომის დათხოვნას რომ შეგიჩდი, და ის კი დღესაც კანკულარიაში გიზის სხვა სამათრახებთან ერთად. ნუ თუ ყველა ესენი არ იყვნენ თავის ად-

გილზე და შენ ნამდვილათ ზიხარ შენ იდგილზე და ცოტა რამ ეჭვიც არ შეგაქვს შენს თავში?! ექიმ პაველეკის დასაფლავებაზე რომა სთქივი: живи и житъ дай другимъ-то, ეს არის, ულუკმა-ბუროთ ქუჩაში ერეკბი ხალხს და მერე თავ-მოკატუნებული სიბნელეში ძრები?! ეს არის შენი უწმიკვლი სამართლიანობა?

რას იტყვი, ნათლი, ეკუთნის თუ არა აზას, რომ ჩემი სახრით აპერაცია გავუკეთო?

ნათლული.

გოსანება

ა ხ ა ლ ც ი ს ხ ე ბ.

საქველმოქმედ. საზოგ. ადგილობრივმა განყოფილებამ გადასწურიტა: გამეგობილან გაქვებულ ეჭნებს (საზოგადო კანონის ძალით) ნადევდა გარდავაძისა, როგორც მომსამსახურე იმავე საზოგადოებისა: რადგანაც მას დანარჩენ წევრებივით ცხვირსახოცით არა აქვს აკრული მაგრათ პირი და ბედაც თავის აზრის გმოთხქმას ამა თუ იმ საკითხზე. ხოლი ცნობილი „ლიტერატორი“ (?) კოტე გვარამაძე თუმცა მოსამსახურეც არის საზოგადოებისა, მაგრამ გამგების წევრათ მაინც უნდა დარჩეს, რადგანაც შესაძლოა კოტეს გული მოუვიდეს—კორესპონდენციას გაუშვებს „სახალხო ფურცელში“, იქ რომ კოტეს ყოველიფერს უბეჭდავენ.

რაბათის სკოლის გამგეობა იგერ წელიწადია რომა ძილშია. იხლათ გადმოყვანილი პატივცემული ზ-დე ყოველივე ლონებს იღებს მათ გამოსახურაზელებლათ. ექსპერტების შემოწმებით სიცოცხლის ნიშნები მათ აღარ აქვთ. საუკუნო განსვენება მისცეთ ღმერთმა, რათა „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მევდარისა ემზადეს, იყოს სოფელში დი სოფელსა არა რა არგოს“.

აქაური მასწავლებლები შედიან ისედაც გაძვალტყავებულ ხალხის მდგომარეობაში და სცდილობებებ ყოველმხრივ დაეხმარონ მოსწავლე ახალგაზრდობას. ამ მიზნით შეიმუშავეს საეთი ნიხრი: მომზადება-სათაში – 3 მან ვინჯ ბინასაც მოითხოვს 300 მან. რასა კირიკელია, საქუიერი ასეთი პუშნიურია მით უმეტეს, რომ ბავშვების პატრიონი გარანტია აქვთ: გამოცდაზე „თვითონვე, ახლობელი“ მასწავლებლებინ ესწრებიან.

„ლა-პუპე“

მისაბამი მაგალითი

დავით ზურგიელიძემ, მისი მამის, უკვდავი მეონის სოლიმინ ზურგიელიძის ხსოვნის პატივ საცემათ ბათუმის მებილიარდებს თოფურიას და კალანდაქეს საბილიარდოში მოსიარულე გემნაზიელების გადასაჭირებლათ ერთი წლით გამოუწერა ას კალი მათრახის კული; ბილიარდის პარლონთ კალანდაქეს და თოფურიას კი ათ-ათი კალი წელს ქვევით გადასაჭირებლათ საბილიარდოში გემნაზიელების მოპატიებისათვის

წერილი რედაქციას

ბ-ნო რედაქტორი! *)


უურნალ „ეშმაკის მათრახის“, მე-5 №-ში ჩემ მიერ მოთავსებულ წერილის შესახებ სამედიატორო სამართალში მიწვევს ბ-ნი კერძეს მებილიარდებს გარ გავყვა სამედიატორო სამართალში ბ-ნ კ-ძეს იმ პირობით, თუ მტყუანი მხარე გადაიხდის ჯარიმად უურნალ „ეშმაკის მათრახის“ რედაქციის სასარგებლოდ 25 მანებს. მეორე, მტყუანი მხარე გამოცხადებს უ. „ეშ. მათრახში“. ჩემი მხრით მედიატორებათ ვასახელებ: ვლადიმერ კოპალეიშვილს და გრიგოლ გიგაშვილს.

ვატივისცემით პ. 6-ილი.

*) ამ წერილის დაბეჭდი აუტორისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო დაგვიანდა.

„ეშმ. მათრ.“ რედაქცია

ყოველ-პირებული იუვანისტიული გამოცემა



— მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის —

უურნალის ფასი: 12 თვით 7 პ. —
6 თვით 4 პ. — კ.
3 თვით 2 პ. — კ.
1 თვით — 70 კ.


ეშმაკის მათრახში დაბეჭდება ბ-ხ თლიდ იუმორის-ტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხოვებები, ზღაპრები, არაეტები, შარადები, გამოცანები, ნაკვერცილი სხვა.

შუალედის სამართველო და სალიტერატურო მხარეს განაცხას ე ფ მ ა ბ ი,

ხოლო გამოცემის საჭმეს კანონის „გ ა ნ ა თ ლ მ ბ ა“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მისალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ თიფლის, C. P. თავართიალვა, ილინსკა, 6 იუნი. იშ. № 96.

„გვიჩვვიბ რცხვები“



გაანთავისუფლეს... და თაყვანსა სცემენ მას...